

ტესტი ქიმიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ შავად სამუშაო ფურცლები და დამხმარე მასალა (ქიმიურ ელემენტთა პერიოდული ცხრილი, ხსნადობის ცხრილი და მეტალთა ძაბვის ელექტროქიმიური მწკრივი).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 75.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



დავალება 1.

მოცემული ნარევიდან რომლის შემთხვევაში შეიძლება მარილების ერთმანეთისაგან განცალკევება წყლისა და გასაფილტრი მოწყობილობის გამოყენებით?

- ა) BaSO_4 და CaCO_3
- ბ) BaSO_4 და CaCl_2
- გ) BaCl_2 და Na_2SO_4
- დ) BaCl_2 და Na_2CO_3



დავალება 2.

ბენზინი მიიღება როგორც ნავთობის გამოხდით, ასევე მაზუთის კრეკინგით.

(კრეკინგის დროს გრძელჯაჭვიანი ნახშირწყალბადები იხლიჩება და მიიღება მოკლეჯაჭვიანები).

როგორ მოვლენას წარმოადგენს თითოეული მათგანი?

- ა) გამოხდა - ფიზიკურია, კრეკინგი - ქიმიური
- ბ) გამოხდა - ქიმიურია, კრეკინგი - ფიზიკური
- გ) ორივე ფიზიკურია
- დ) ორივე ქიმიურია

დავალება 3.


რომელ წინადადებაში აღნიშნავს „აზოტი“ მარტივ ნივთიერებას?

- ა) ამიაკი აზოტის წყალბადნაერთია.
- ბ) ამონიუმის გვარჯილა აზოტის შემცველი სასუქია.
- გ) აზოტი შედის ცილის შედგენილობაში.
- დ) აზოტი მიიღება ამონიუმის ნიტრიტის დაშლით.

დავალება 4.

მოცემული აღნიშვნებიდან რომელი შეესაბამება ნუკლიდს, რომელიც 15 პროტონს და 17 ნეიტრონს შეიცავს?

^{17}P	^{32}P	^{17}S	^{32}S
ა)	ბ)	გ)	დ)



დავალება 5.


მოცემულია ნაწილაკები:

I. ნეონის ატომი

II. ნატრიუმის კატიონი

III. ქლორის ანიონი

ამ ნაწილაკებიდან რომელს შეესაბამება ელექტრონული ფორმულა:



ა) მხოლოდ I-ს

ბ) როგორც I-ს, ასევე II-ს

გ) როგორც I-ს, ასევე III-ს

დ) ნებისმიერს ამ სამთაგან

დავალეზა 6.

მოცემულ სქემაზე რომელი ისრების მიმართულებები გვიჩვენებს პერიოდულ სისტემაში ელემენტის ატომის მიერ ელექტრონების გაცემის უნარის ზრდას?

პერიოდები	I II III IV V VI VII VIII										VIII B																					
	A	I B	A	II B	B	III A	B	IV A	A	B	V A	A	B	VI A	A	B	VII A	A	B	VIII A												
I	H წყალბადი 1 1.01												(H)							2 He ჰელიუმი 4.00												
II	3 Li ლითიუმი 6.94	4 Be ბერილიუმი 9.01	5 B ბორი 10.81	6 C კარბონი 12.01	7 N აზოტი 14.00	8 O ოქსიგენი 15.99	9 F ფლორინი 18.99	10 Ne ნეონი 20.12																								
III	11 Na ნატრიუმი 22.99	12 Mg მაგნიუმი 24.31	13 Al ალუმინი 26.98	14 Si სილიციუმი 28.09	15 P ფოსფორი 30.97	16 S სერენი 32.06	17 Cl კლორინი 35.45	18 Ar არგონი 39.95																								
IV	19 K პოტასიუმი 39.10	20 Ca კალციუმი 40.08	21 Sc სკანდიუმი 44.96	22 Ti ტიტანიუმი 47.9	23 V ვანადიუმი 50.94	24 Cr კრომიუმი 51.99	25 Mn მანგანუმი 54.94	26 Fe ჰემიკონი 55.85	27 Co კობალტი 58.93	28 Ni ნიკელი 58.70																						
V	37 Rb რუბიდიუმი 85.47	38 Sr სტრონციუმი 87.62	39 Y იტრიუმი 88.91	40 Zr ზირკონიუმი 91.22	41 Nb ნიობიუმი 92.91	42 Mo მოლიბდენი 95.94	43 Tc ტექნიციუმი 98.91	44 Ru რუთენიუმი 101.1	45 Rh რინიუმი 102.9	46 Pd პალადიუმი 106.40																						
VI	55 Cs ცეზიუმი 132.91	56 Ba ბარიუმი 137.33	57 La ლანთანიდი 138.91	58 Ce ცერეუმი 140.12	59 Pr პრომიტიუმი 140.91	60 Nd ნედიუმი 144.24	61 Pm პრომიტიუმი 144.91	62 Sm სამარიუმი 150.36	63 Eu ევროპიუმი 151.96	64 Gd გადოლიუმი 157.25	65 Tb თერბიუმი 158.93	66 Dy დიზმიუმი 162.50	67 Ho ჰოლიმიუმი 164.93	68 Er ერბიუმი 167.26	69 Tm თიმოლიუმი 168.93	70 Yb იტიუმი 173.05	71 Lu ლუთეციუმი 174.97	72 Hf ჰაფნიუმი 178.49	73 Ta ტანტალიუმი 180.95	74 W ვოლფრამი 183.85	75 Re რენიუმი 187.21	76 Os ოსმიუმი 190.20	77 Ir ირიდიუმი 192.22	78 Pt პლატინა 195.09								
VII	87 Fr ფრანსიუმი [223]	88 Ra რადიუმი 226.03	89 Ac** აქტინიდი [227]	90 Th თორიუმი [232]	91 Pa პრომიტიუმი [231]	92 U ურანიუმი [238]	93 Np ნეპტუნიუმი [237]	94 Pu პლუტონიუმი [244]	95 Am ამერიკიუმი [243]	96 Cm კურნიუმი [247]	97 Bk ბერკლიუმი [247]	98 Cf კალიფორნიუმი [251]	99 Es ეისენსტადიუმი [252]	100 Fm ფერმიუმი [257]	101 Md მადონიუმი [288]	102 No ნობელიუმი [289]	103 Lr ლურენსიუმი [260]	104 Rf რეზერვინიუმი [261]	105 Db დუბნიუმი [262]	106 Sg სიგნიუმი [266]	107 Bh ბერკლიუმი [264]	108 Hs ჰასიუმი [277]	109 Mt მიტანევიუმი [276]	110 Ds დავსგეზიუმი [271]	111 Nh ნიჰონიუმი [285]	112 Fl ფლორიუმი [289]	113 Nh ნიჰონიუმი [285]	114 Nh ნიჰონიუმი [285]	115 Nh ნიჰონიუმი [285]	116 Nh ნიჰონიუმი [285]	117 Nh ნიჰონიუმი [285]	118 Nh ნიჰონიუმი [285]

ა) I და II

ბ) I და IV


გ) II და III

დ) III და IV

გაითვალისწინეთ: ოთხი სავარაუდო პასუხიდან მხოლოდ ერთია სწორი.

დავალება 7.

რომელი ბმებია ნაჩვენები მოცემულ სქემაზე?



- ა) I - მეტალური, II - კოვალენტური
- ბ) I - მეტალური, II - წყალბადური
- გ) I - იონური, II - კოვალენტური
- დ) I - იონური, II - წყალბადური



მოცემული მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

- I. თხევად მდგომარეობაში წყლის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმებია.
- II. თხევად მდგომარეობაში ეთანოლის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმებია.
- III. სპირტის წყალხსნარში ეთანოლისა და წყლის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმებია.

- ა) მხოლოდ I
- ბ) როგორც I, ასევე II
- გ) როგორც I, ასევე III
- დ) სამივე

დავალება 9.

მოცემულია რეაქციები დაუსრულებელი სახით:





რეაქციათა რომელ ტიპს მიეკუთვნება თითოეული მათგანი?

- ა) I – ჩანაცვლების, II – შეერთების
- ბ) I – ჩანაცვლების, II – მიმოცვლის
- გ) I – შეერთების, II – ჩანაცვლების
- დ) I – შეერთების, II – მიმოცვლის,

დავალება 10.

მოცემული სქემებიდან რომელი ასახავს ბრომის ჟანგვას?



ა) მხოლოდ I



ბ) მხოლოდ II

გ) ორივე

დ) არც ერთი

დავალება 11.

მოცემული მჟავებიდან რომელშია ჟანგბადის მასური წილი ყველაზე ნაკლები?




- ა) HClO_4
- ბ) H_2SO_4
- გ) H_3PO_4
- დ) ჟანგბადის მასური წილი სამივე მჟავაში ერთნაირია

დავალება 12.

ნატრიუმის ტუტის 30 გ 15%-იან ხსნარს დაამატეს 20 მლ წყალი.

როგორი იქნება მიღებულ ხსნარში ტუტის მასური წილი?



ა) 7.5 %





ბ) 9 %

გ) 18 %

დ) 25 %

დავალება 13.

მოცემული იონებიდან რომელი გამოიყენება წყალხსნარში CO_3^{2-} იონების აღმოსაჩენად?



დავალება 14.

რეაქციის სიჩქარე ტემპერატურის მომატებით 16-ჯერ გაიზარდა.

რეაქციის სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტი $\gamma = 2$.

რამდენი გრადუსით გაუზრდიათ ტემპერატურა?

ა) 32 °C-ით


ბ) 40 °C-ით

გ) 64 °C-ით


დ) 80 °C-ით

დავალება 15.

ამიაკის სინთეზისათვის რეაქტორში შეიტანეს ტოლი მოცულობებით წყალბადი და აზოტი. გარკვეული დროის შემდეგ რეაქტორში დამყარდა წონასწორობა:



მოცემული გრაფიკებიდან რომელი გვიჩვენებს სწორად ამ პროცესს?




გაითვალისწინეთ: ოთხი სავარაუდო პასუხიდან მხოლოდ ერთია სწორი.

დავალება 16.

სინჯარაში, რომელშიც მოთავსებული იყო ნავთი და წყალი, ჩააგდეს ნატრიუმის ნაჭერი.

რომელ ნახაზზეა სწორად ასახული სინჯარაში ნივთიერებების განაწილება?



გაითვალისწინეთ: ოთხი სავარაუდო პასუხიდან მხოლოდ ერთია სწორი.

დავალება 17.

ქიმიურ ჭიქაში მოათავსეს უცნობი მყარი ნივთიერება და დაამატეს გამოხდილი წყალი. მიიღეს გამჭვირვალე ხსნარი, რომელმაც ხსნარში ჩაშვებული ლაკმუსის ქაღალდი გააწითლა.


ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს უცნობი ნივთიერება?

- ა) ბარიუმის ჰიდროქსიდი
- ბ) სილიციუმმჟავა
- გ) კალციუმის ოქსიდი
- დ) ფოსფორ(V)-ის ოქსიდი






დავალება 18.

ლაბორატორიაში ბერთოლეს მარილის კატალიზური დაშლით მიიღეს ჟანგბადი:



ქვემოთ მოცემული მოწყობილობებიდან რომლის გამოყენებაა მიზანშეწონილი მიღებული ჟანგბადის შესაგროვებლად?






- ა) მხოლოდ I-ის
- ბ) მხოლოდ II-ის
- გ) როგორც I-ის, ასევე III-ის
- დ) როგორც II-ის, ასევე III-ის

დავალება 19.

მოცემული რეაქციებიდან რომელი მიმდინარეობს აირის გამოყოფით?

(რეაქციები წარმოდგენილია დაუსრულებელი სახით. ჩათვალეთ, რომ ისინი წყალხსნარებში მიმდინარეობს).




დავალება 20.

კალიუმის იოდიდის წყალხსნარს დაამატეს სახამებელი და მასში გაატარეს უცნობი აირი, რის შედეგადაც ხსნარი გალურჯდა.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება ყოფილიყო უცნობი აირი?

- ა) H_2S
- ბ) CO_2
- გ) H_2
- დ) Cl_2



მოცემული ხსნარებიდან რომელში უნდა მოვათავსოთ ალუმინის ნაჭერი, რომ გამოიყოს წყალბადი?




- ა) მხოლოდ I-ში
- ბ) I-ში ან II-ში
- გ) I-ში ან III-ში
- დ) ამ სამთაგან ნებისმიერში

დავალება 22.

A და B კოლბებში მოათავსეს სხვადასხვა მარილების წყალხსნარები და მათში ჩაუშვეს სპილენძის ფირფიტები.

გარკვეული დროის შემდეგ A კოლბაში ხსნარი შეფერადდა და ფირფიტა მეტალის ნაფიფქით დაიფარა, ხოლო B კოლბაში - ცვლილება არ მოხდა.





რომელი მარილების ხსნარები შეიძლება ყოფილიყო A და B კოლბებში?



	A კოლბაში	B კოლბაში
ა)	$Zn(NO_3)_2$	$Hg(NO_3)_2$
ბ)	$Zn(NO_3)_2$	$AgNO_3$
გ)	$AgNO_3$	$Hg(NO_3)_2$
დ)	$AgNO_3$	$Zn(NO_3)_2$


დავალება 23.

მოცემული ნაერთებიდან რომელს აქვს გეომეტრიული (ცის- და ტრანს-) იზომერები?



დავალება 24.

რამდენი სხვადასხვა ნივთიერებაა გამოსახული მოცემული ფორმულებით?




ა) სამი

ბ) ოთხი

გ) ხუთი

დ) ექვსი

მოცემულია ორგანულ ნაერთთა გარდაქმნის სქემა:



?

ჰიდრირება

სქემაზე რომელი რიცხვებით აღნიშნული რეაქციებიდან რომელი წარმოადგენს ჰიდრირების პროცესს?


- ა) მხოლოდ I
- ბ) როგორც I, ასევე II
- გ) როგორც I, ასევე III
- დ) როგორც I, ასევე IV

დავალება 26.


მოცემული ნივთიერებებიდან რომლის დეჰიდრატაციით მიიღება ეთენი?




ა)



ბ)




გ)



დ)

დავალება 27.

მოცემული ორგანული ნაერთებიდან რომელი ურთიერთქმედებს ტუტე მეტალთან წყალბადის გამოყოფით?



- ა) მხოლოდ I
- ბ) როგორც I, ასევე II
- გ) როგორც I, ასევე III
- დ) ნებისმიერი ამ სამთაგან


მოცემულია მოლეკულის მოდელი, რომელშიც:

შავი ბურთულები ნახშირბადატომებია,

თეთრი – წყალბადატომები,

წითელი – ჟანგბადატომები.

რომელი ნაერთებისათვის დამახასიათებელი თვისებები უნდა გამოამჟღავნოს ამ ნაერთმა?




- ა) სპირტების და ალდეჰიდების
- ბ) სპირტების და ორგანული მჟავების
- გ) ორგანული ფუძეების და ალდეჰიდების
- დ) ორგანული ფუძეების და ორგანული მჟავების

დავალება 29.

მოცემული ნაერთებიდან რომელი წარმოადგენს თხევად ცხიმს?

(ნაერთები ნაწილობრივ წარმოდგენილია ნახშირბადოვანი ჩონჩხის სახით)



გაითვალისწინეთ: ოთხი სავარაუდო პასუხიდან მხოლოდ ერთია სწორი.

დავალება 30.

სამ სინჯარაში მოათავსეს წყალხსნარები:

I-ში - გლუკოზის,


II-ში - ფრუქტოზის,

III-ში - საქაროზის.

თითოეული ხსნარი შეამოწმეს „ვერცხლის სარკის“ რეაქციაზე.

რომელ სინჯარაში წარმოიქმნება „ვერცხლის სარკე“?

- ა) მხოლოდ I-ში
- ბ) I-სა და II-ში
- გ) I-სა და III-ში
- დ) სამივე სინჯარაში



დავალება 31.

მოცემულია ნივთიერებების ორი ჯგუფი:

A ჯგუფი	B ჯგუფი
Cu	S
Fe	ZnO
NaOH	HCl
Ba(NO ₃) ₂	K ₃ PO ₄

ნივთიერებათა რომელი წყვილის ურთიერთქმედებით შეიძლება მარილის მიღება, თუ ამ წყვილში ერთი ნივთიერება **A ჯგუფს** წარმოადგენს, ხოლო მეორე - **B ჯგუფს**?


განიხილეთ ყველა შესაძლო წყვილის შემთხვევა.

ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი **X**.

	ა	ბ	გ	დ
B ჯგუფი \ A ჯგუფი	S	ZnO	HCl	K ₃ PO ₄
1 Cu				
2 Fe				
3 NaOH				
4 Ba(NO ₃) ₂				

დავალება 32.

მოცემულია წონასწორული სისტემა:




ცხრილში მოცემული ქმედებებიდან რომელი/რომლები გამოიწვევდა წონასწორობის მარჯვნივ გადახრას?

ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი **X**.

ა	ბ	გ	დ
წნევის გაზრდა	ტემპერატურის გაზრდა	B ნივთიერების კონცენტრაციის გაზრდა	C ნივთიერების კონცენტრაციის გაზრდა

დავალება 33.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია **X**, **Y** და **Z** ქიმიური ელემენტების შესახებ:

X -ელემენტის რიგობრივი ნომერია 82
Y -ელემენტის ელექტრონული შრეების აღნაგობაა 
Z -ელემენტის ელექტრონული ფორმულაა [Ne]3s²

დაადგინეთ, რომელი ელემენტებია **X**, **Y** და **Z** და ცხრილის შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ:

ა	ბ	გ
X -ელემენტის უმაღლესი ჟანგბადნაერთის ფორმულა	Y -ელემენტის წყალბადნაერთის ფორმულა	Z -ელემენტის ჰიდროქსიდის ფორმულა

დავალება 34.

ცხრილის შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ მოცემულ ნაწილაკებში ნახშირბადის ჟანგვის რიცხვი.


	ნაწილაკები	ნახშირბადის ჟანგვის რიცხვი
ა	KHCO_3	
ბ	CO_3^{2-}	
გ	CHCl_3	

დავალება 35.

დაწერეთ:

35.1 2,2-დიმეთილბუტანმჟავას სტრუქტურული ფორმულა.

35.2 ნაერთის სახელწოდება, რომლის სტრუქტურული ფორმულაა:



დავალება 36.

მოცემულია მარილის ფორმულა:



დაწერეთ:

36.1 ამ მარილის სახელწოდება.

36.2 ამ მარილის შესაბამისი ჰიდროქსიდისა და მჟავა ოქსიდის ფორმულები.


36.3 Na_2S -თან ამ მარილის ურთიერთქმედების რეაქციის:

ა) მოლეკულური ტოლობა

ბ) მოკლე იონური ტოლობა.

დავალება 37.

მოცემულია გათანაბრებული ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის ტოლობა:



37.1 შეადგინეთ ელექტრონული ბალანსი.

37.2 დაწერეთ რეაქციის გათანაბრებული ტოლობა.


დავალება 38.

მოცემული სქემები წარმოადგინეთ ქიმიური რეაქციების გათანაბრებული ტოლობების სახით.
(ჩანაწერი ... აღნიშნავს მხოლოდ ერთ ნივთიერებას).



დავალება 39.

მოცემულია ორგანულ ნაერთთა გარდაქმნის სქემა:




რომელი ორგანული ნაერთებია აღნიშნული ამ სქემაზე **A**, **B** და **C** ასოებით?

პასუხების ფურცელზე დავალება #39-ის ცხრილში ჩაწერეთ შესაბამისი ნივთიერებების სტრუქტურული ფორმულები.


დავალება 40.

მოცემული სქემები წარმოადგინეთ ქიმიური რეაქციების სახით.
ორგანული ნაერთები წარმოადგინეთ სტრუქტურულად.
(ჩანაწერი ... აღნიშნავს მხოლოდ ერთ ნივთიერებას).

40.1



40.2



დავალება 41.

ჭურჭელში მოთავსებულია აირთა ნარევი, რომელიც შეიცავს (ნ. პ.):

- 4.48 ლ ნახშირორჟანგს,
- 5.6 გ აზოტს,
- 0.1 მოლ მეთანს.

გამოთვალეთ ჭურჭელში ატომთა საერთო რაოდენობა (მოლებში).

გაითვალისწინეთ:

- აუცილებელია, მოკლედ, მაგრამ ნათლად წარმოადგინოთ პასუხის მიღების გზა.
წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი არ შეფასდება !
- შესაძლებელია, ამოცანა იხსნებოდეს რამდენიმე ხერხით. ასეთ შემთხვევაში საკმარისია, აჩვენოთ ამოხსნის ერთ-ერთი გზა.

დავალება 42.

ნატრიუმის ტუტის 200 გ 3%-იანმა ხსნარმა შთანთქა 1.12 ლ (ნ. პ.) გოგირდის დიოქსიდი.

დაადგინეთ მიღებული ხსნარის შედგენილობა მოლებში.

გაითვალისწინეთ:

- აუცილებელია, მოკლედ, მაგრამ ნათლად წარმოადგინოთ პასუხის მიღების გზა.
წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი არ შეფასდება !
- შესაძლებელია, ამოცანა იხსნებოდეს რამდენიმე ხერხით. ასეთ შემთხვევაში საკმარისია, აჩვენოთ ამოხსნის ერთ-ერთი გზა.


დავალება 43.

გრაფიკზე მოცემულია ოთხი ატომი ნახშირბადის შემცველ ნახშირწყალბადში ელემენტების მასური თანაფარდობა.

დაადგინეთ:

43.1 ამ ნახშირწყალბადის ფორმულა.

43.2 ამ ნახშირწყალბადის სიმკვრივე აზოტ(II)-ის ოქსიდის მიმართ.



გაითვალისწინეთ:

- აუცილებელია, მოკლედ, მაგრამ ნათლად წარმოადგინოთ პასუხის მიღების გზა. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი არ შეფასდება !
- შესაძლებელია, ამოცანა იხსნებოდეს რამდენიმე ხერხით. ასეთ შემთხვევაში საკმარისია, აჩვენოთ ამოხსნის ერთ-ერთი გზა.

დავალება 44.

ნარევი, რომელიც შეიცავს ჭიანჭველის ალდეჰიდს და ძმარმჟავას, დაამუშავეს ჭარბი ვერცხლ(I)-ის ოქსიდის ამიაკური ხსნარით. გამოიყო 43.2 გ ნალექი.

იგივე რაოდენობის ნარევის დაწვისას მიიღება 0.4 მოლი ნახშირბადის დიოქსიდი.

დაადგინეთ საწყის ნარევი კომპონენტების მასური თანაფარდობა.

გაითვალისწინეთ:

- აუცილებელია, მოკლედ, მაგრამ ნათლად წარმოადგინოთ პასუხის მიღების გზა.
წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი არ შეფასდება !
- შესაძლებელია, ამოცანა იხსნებოდეს რამდენიმე ხერხით. ასეთ შემთხვევაში საკმარისია, აჩვენოთ ამოხსნის ერთ-ერთი გზა.